მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

25 ნოემბერი, 2021
№ 21/05-154

თემა: მწვანე ალტერნატივას მოსაზრებები და შენიშვნები კანონპროექტზე „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
კახა კუჭავას

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს
მაია ბითაძეს

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას მოსაზრებებსა და შენიშვნებს კანონპროექტის „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ - მეორე მოსმენისათვის მომზადებულ ვერსიაზე.

მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული რამდენიმე ცვლილებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ტყის ეკოსისტემებს, მოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქვეყნის დაცულ ტერიტორიებს, მათ შორის კოლხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბანს. მათი ნაწილი აუარესებს დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხებს და შეიცავს ინტერსთა კონფლიქტების წარმოშობისა და კორუფციის აშკარა რისკებს. აღნიშნული ცვლილებების ამ სახით დამტკიცებას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოყვება საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციების, მრავალმხრივი საერთაშირისო ხელშეკრულებების (კონვენციების) და დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

გთხოვთ იხილოთ კონკრეტული მოსაზრებები და კომენტარები მუხლების მიხედვით.

- **4: ტყის კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[1]“ ქვეპუნქტში შემოთავაზებული ცვლილება:**

წარმოდგენილი კანონპროექტში აღნიშნულია: „მე-2 მუხლის „ჰ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„ჰ[1]) ხეტყის დამზადება - ზეზემდგომი ხე-ტყის მოჭრა და/ან ძირნაყარი ხეებიდან მერქნის ამოღება, მისი დახარისხება და გამოზიდვა (მათ შორის საქმიან ეზომდე)“; ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, განმარტებით ბარათში მოცემულია შემდეგი: „ასევე, ცვლილება შედის „ჰ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტერმინში - „ხეტყის დამზადება“, რამდენადაც ხეტყის დამზადება სრულდება დახარისხებით და გამოზიდვით (მათ შორის საქმიან ეზომდე) და არა მხოლოდ საქმიან ეზომდე. საქმიანი ეზოები მოეწყობა საკვანძო და მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თუმცა

ხეტყის გამოზიდვა შესაძლებელია მოხდეს უშუალოდ მოჭრის ადგილიდანაც, ასევე დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ან ტყის მართვის ორგანოს მიერ განსაზღვრულ დანიშნულების ადგილამდე. ამდენად, გამოზიდვა არ არის შეზღუდული მხოლოდ საქმიან ეზომდე ხეტყის მიტანით“.

ცვლილება აზუსტებს და ხსნის არსებულ შეუსაბამობას. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: „ტყის კოდექსი საერთოდ არ განმარტავს, რას ნიშნავს „საქმიანი ეზო“. კანონში მხოლოდ ორჯერ იყო/არის ნახსენები ეს ცნება - ერთი ამ ნაწილში, რომელშიც შედის ცვლილება და მეორე - ტერმინის „ტყის მიწა“ განმარტებაში: „ბ.ბ.ბ) ტყის მიწა – ტყის კონტურის შიგნით არსებული მიწის ღია ფართობი: მიწა, რომელიც გამოიყენება სათიბად ან საძოვრად; სპეციალური დანიშნულების მიწა; მიწა, რომელიც მოიცავს ტყეში არსებულ ჭაობს, კლდეს, რიყეს ან ტყის გაშენებისათვის გამოუყენებელ სხვა მიწის ფართობს; სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა (სატყეო გზა, ხეტყის დასაწყობების ადგილი, საქმიანი ეზო) და სხვა.“

ამდენად, გაუგებარია, რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა საბიუჯეტო თანხებით არაერთი ე.წ. „საქმიანი ეზოს“ მშენებლობას. <u>მიგვაჩინა, რომ პარლამენტმა უნდა გამოიყენოს თავისი საზედამხედველო ფუნქცია და საგანგებოდ შეისწავლოს ეს საკითხი.</u>

- **6: ტყის კოდექსის მე-9 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებები:**

ტყის კოდექსის მე-9 მუხლში შედის მნიშვნელოვანი და სწორი დაზუსტებები. თუმცა, ამ მუხლში კვლავ არ არის განსაზღვრული დაცვითი ტყეების მართვის ამოცანები/პრინციპები, განსხვავებით მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებით დადგენილი სხვა კატეგორიებისა. როგორც ჩანს, თავის დროზე კანონის ავტორებს ეს საკითხი მექანიკურად გამორჩათ. 2015 წლიდან ჩვენ არაერთხელ მივწერეთ ამის შესახებ კანონის ავტორებს, მაგრამ მიუხედავად პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თანხმობისა, მაინც არ გამოასწორეს ეს ხარვეზი (ამის მიზეზს ვერ ასახელებენ). აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მე-9 მუხლს (მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების ანალოგიით) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დაცვითი ტყეების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა/ღონისძიება, რომელმაც შესაძლოა შეასუსტოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ტყეების დაცვითი ფუნქცია“.

- **7: ტყის კოდექსის მე-13 მუხლში შემოთავაზებული ცვლილებები:**

კანონპროექტის თანახმად, კოდექსის მე-13 მუხლში შედის რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. კანონპროექტის ახალი რედაქციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი უფრო მეტად აზუსტებს დასკვნის შინაარსს. თუ მოქმედი რედაქციით მზადდებოდა დასკვნა „პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“, კანონპროექტის მიხედვით - დასკვნა უნდა იყოს „პროექტის განხორციელებისა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან, ასევე, შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით“. ამ თვალსაზრისით, ახალი რედაქცია უკეთესია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის მიხედვით, კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში შედის მიუღებელი ცვლილებებიც: უარესდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის სტანდარტი, ვინაიდან საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ნაცვლად ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წესით. ეს კი, საჯარო მოხელეების არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, კორუფციისა და ინტერესთან კონფლიქტების შესაძლებლობებს აჩენს. სისტემა არ შეიძლება იყოს იმაზე დამოკიდებული, კარგი ადამიანი მუშაობს თუ ცუდი. სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ ცუდ ადამიანსაც კი არ მისცეს საშუალება, ბოროტად ისარგებლოს კანონით.

დაზუსტებას საჭიროებს საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ჩანაწერიც, რათა კანონი სრულ შესაბამისობაში იყოს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პრინციპებთან. გარემოს დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ ემყარება ე.წ. გარემოზე მიყენებული ზიანის პრევენციის იერარქიულ პირამიდას. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად (იხ. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN), ბიომრავალფეროვნების კონვენციის

(CBD) დოკუმენტები ბიომრავალფეროვნების კომპენსაციების პროგრამის შესახებ[1]), ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე ზემოქმედების შერბილებას მწყობრი იერარქია გააჩნია[2] (ზემოქმედების თავიდან აცილება, შემცირება, აღდგენა, კომპენსაცია). კომპენსაცია (ზარალის ანაზღაურება) განიხილება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურულია: 1) გარემოზე/ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და 2) ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები. კომპენსაციების შეთავაზება (ეს შეიძლება იყოს დაზიანებული გარემოს აღდგენა, სანაცვლო ტერიტორიის აღდგენა-გაშენება, სპეციალურ ფონდში თანხის ჩარიცხვა და სხვ.) ხდება მხოლოდ მას შემდეგ, თუ დადგინდება, რომ ზემოქმედებების თავიდან აცილება შეუძლებელია, ხოლო შემარბილებელი ღონისძიება არასაკმარისია. თუ გარემოზე ზემოქმედება კომპენსაციის სანაცვლოდ ხდება, ისე, რომ მანამდე არ ხდება ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შერბილების შესაძლებლობის განხილვა, ადგილი აქვს გარემოს შეუქცევად დეგრადაციას - ეს არის გარემოს მენეჯმენტის ოქროს წესი, რომელიც „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, მოითხოვს შემდეგს: „წესებისა და პროცედურების დაწესება, რომლებიც მიზნად ისახავენ გარემოზე (წყალი, ხმელეთი, ცხოველებისა და მცენარეების დაცული სახეობები და ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო) ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით (მუხლი 5, 6, 7, დანართი II).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთავაზობთ, რომ დარჩეს ტყის კოდექსში არსებული მოთხოვნა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით და კანონპროექტი აღნიშნული ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად (დამატებული ფრაზები ხაზგასმულია):

„2. ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ <u>საჯარო</u> ადმინისტრაციული წარმოება იწყება სამინისტროს/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც შეიცავს სამინისტროს დასკვნას პროექტის განხორციელებისა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან, ასევე, შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით. <u>საკომპენსაციო ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება გარემოზე/ტყეზე/ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შერბილების ღონისძიებები.“</u>

მისასალმებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით დასკვნა სავალდებულოა იმ პროექტებისთვისაც, რომლებიც არ ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. ეს ცვლილება შეავსებს ტყის კოდექსში არსებულ თეთრ ლაქას, რომელიც საშუალებას იძლეოდა არაერთი ტყის ეკოსისტემისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობა განხორციელებულიყო გარემოსდაცვითი პრინციპების დაცვის გარეშე. თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებაზეც გავრცელდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი. მნიშვნელოვანია, რომ ტყის სტატუსის შეწყვეტით დაინტერესებული პირის განცხადება უნდა შეიცავდეს პროექტის განხორციელების ალტერნატივების შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ხოლო ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე. სრულიად ბუნებრივია, რომ განცხადების და მასზე დასკვნის განხილვა მოხდეს <u>საჯარო ადმინისტრაციული</u> <u>წარმოების</u> გზით, სხვანაირად უბრალოდ წარმოუდგენელია.

---

[1] **Biodiversity Offsets** - https://www.iucn.org/sites/dev/files/import/downloads/iucn_biodiversity_offsets_policy_jan_29_2016.pdf; https://www.iucn.org/theme/business-and-biodiversity/our-work/business-approaches-and-tools/biodiversity-offsets; https://www.cbd.int/financial/offsets/g-offsets-iucn.pdf

[2] mitigation hierarchy (avoid, minimize, restore, offset**).** http://bbop.forest-trends.org/pages/mitigation_hierarchy

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სწორედ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესს გულისხმობს.

- **7 და 21: (მე-13 მუხლი, მე-7 პუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტი, მე-2 აბზაცი და 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შენიშვნა).**

  გაუგებარია, რას გულისხმობს კანონპროექტის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზანი არ მოიცავს ტყის სტატუსის შეწყვეტას მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) მოწყობის მიზნით“. აქ ნაგულისხმევია ამ კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობები, (წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ჰიდროკვანძები, ელექტროსადგურები, მილსადენები, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა ან/და ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობილი გაზის საცავით სარგებლობა, გზები, ელექტროგადამცემი კომუნიკაციები, ელექტრონული ქსელებისა და არხების მშენებლობა), რომელთა განხორციელებისას ხშირად საჭიროებს ძალზე დიდ ფართობზე სანაყაროების მოწყობას, რამაც შეიძლება უფრო მეტ ზიანი მიაყენოს ტყის ეკოსისტემას, ვიდრე პირწმინდა ჭრამ. თუ იგულისხმება, რომ სანაყაროების მოწყობა ტყეში არ უნდა დაექვემდებაროს რეგულაციას, ეს კატეგორიულად მიუღებელია.

- **7 და 21: კოდექსის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ტყის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს ემატება საკურორტო-სარეკრეაციო მიზნებისთვის საინვესტიციო წინადადების არსებობა.** ამ შემთხვევისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გამოყენებული იქნას რეგულაცია, რომელიც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილებით „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ და გულისხმობდა, რომ საინვესტიციო წინადადების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია არაუმეტეს 3 ჰექტარის ამორიცხვა (ტყის სტატუსის გაუქმება), ხოლო ამორიცხვის (ტყის სტატუსის გაუქმების) აუცილებელი პირობაა ტერიტორიის არანაკლებ 75% ფართობზე ხე-მცენარეების შენარჩუნება.

- **მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

  „8. სამინისტრო დასკვნას პროექტის განხორციელებისა და ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზანშეწონილობასთან, ასევე შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით, ამზადებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის შემთხვევაში დასკვნა მზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების ფარგლებში. ამ კოდექსის ამოქმედებამდე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შემთხვევაში ზემოაღნიშნული დასკვნა ~~ასევე~~ მზადდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ტყის სტატუსის შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

- **11: ტყის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შემოთავაზებული ცვლილება:**
  კანონპროექტის მიხედვით, კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილში შედის ცვლილებები, რომლითაც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ეძლევა ტყის (გარდა მუნიციპალური ტყისა) დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლს განხორციელების ფუნქცია. აღნიშნული ცვლილება შეიცავს სერიოზულ ინტერესთა კონფლიქტს: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო შეეძლება განახორციელოს სამეურნეო საქმიანობა, მათ შორის ხე-ტყის დამზადება, ტყის დაცვა (სახელმწიფო კონტროლი, ზედამხედველობა) და სანებართვო დოკუმენტაციის გაცემა. აღნიშნული ეწინააღმდეგება „ეროვნულ სატყეო კონცეფციას“, რომლის ძირითადი პრინციპია პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა. ინტერესთან კონფლიქტის საფრთხეზე მწვანე ალტერნატივა კანონის განხილვის ეტაპზეც მიუთითებდა, ვინაიდან მიგვაჩნდა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ეროვნული სატყეო სააგენტო ერთი სამინისტროს შემადგენელი ნაწილები იყვნენ. თუმცა სამინისტროს წარმომადგენელთა დასაბუთებით, „ეროვნულ სატყეო კონცეფცია“ არ ირღვეოდა, ვინაიდან ზედამხედველობის ფუნქცია ჰქონდა მხოლოდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ხოლო ეს დეპარტამენტი და

ეროვნული სატყეო სააგენტო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უწყებები იყვნენ. სამინისტროს წარმომადგენელთა ეს სუსტი მტკიცება აღნიშნული ცვლილებით ბათილდება და სახეზე აშკარა ინტერესთა კონფლიქტს ვიღებთ, რამაც დროთა განმავლობაში შევარდნაძის პერიოდის კორუმპირებულ უწყებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

- **12 და 14: ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილებები კოლხეთის ეროვნულ პარკში პირწმინდა ჭრების დაშვებასთან დაკავშირებით.**

წარმოდგენილი კანონპროექტის 37-ე და 47-ე მუხლების ახალი რედაქციით, კოლხეთის ეროვნულ პარკში დაიშვება პირწმინდა ჭრები. ჯერ კიდევ კოდექსის განხილვის დროს, მწვანე ალტერნატივა წინააღმდეგი იყო, რომ მასში შესულიყო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც პირწმინდა სამეურნეო ჭრის განხორციელება დასაშვები იქნებოდა კოლხეთის დაბლობის ტყეების მურყნარ (თხმელნარ) კორომებში. კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების უნიკალურ რეფუგიუმს (თავშესაფარს), სადაც შემორჩენილია ბოლო გამყინვარებას (ვიურმი) გადარჩენილი რელიქტები. პირწმინდა ჭრის დაშვება კოლხეთის დაბლობის ტყეებში წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის და შევარდნაძის პერიოდის კორუმპირებული სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტის მავნებელი პრაქტიკის გაგრძელებას (საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 10 იანვარის №6 ბრძანებულება „საქართველოს ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესის შესახებ დებულების დამტკიცებისა და ტყეების დაცვის, აღდგენა - განახლების მთელ რიგ ღონისძიებათა შესახებ“ უშვებდა პირწმინდა ჭრას კოლხეთის ეროვნული პარკის თხმელნარ კორომებში და ამით კოლხეთის დაბლობის რეფუგიუმის ტყეებს უთანაბრებდა რუსეთის სწორ რელიეფზე გავრცელებულ ერთფეროვან ტყეებს). ასეთმა პრაქტიკამ, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, მათ შორის დაცული ტერიტორიის ფარგლებში, კოლხეთის რელიქტურ ტყეებს დიდი ზიანი მიაყენა. ეს უნიკალური ეკოსისტემა ძალზე გაღარიბდა და დაიწყო საკმაოდ მრავალფეროვანი სახეობებით წარმოდგენილი ფიტოცენოზების ჩანაცვლება სწრაფმზარდი სახეობით - მურყნით (თხმელით) და ერთფეროვანი ცენოზების ჩამოყალიბება. პარლამენტის კომიტეტში ტყის კოდექსის პროექტის განხილვისას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი კარლო ამირგულაშვილი ამბობდა, რომ პირწმინდა ჭრები მხოლოდ კოლხეთის ეროვნული პარკის გარეთ იყო განზრახული. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა, რომ მხოლოდ კანონქვემდებარე რეგულირებით მოხდებოდა კოლხეთის ეროვნულ პარკში პირწმინდა ჭრების დაშვება, როგორც ეს იყო ზემოხსენებულ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 10 იანვარის №6 ბრძანებულებაში და შეცდომაში შეიყვანა პარლამენტის წევრები.

წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული განმარტება კიდევ უფრო ცხადს ხდის, რომ კოლხეთის დაბლობზე (მათ შორის ეროვნულ პარკში) პირწმინდა ჭრების დანიშნულებაა დაცული ტყის გათანაბრება სამრეწველო ტყესთან, უფრო მეტი მერქნის მიღება და არა ტყის ბიომრავალფეროვნების და ბუნებრივი პროცესების ხელშეწყობა. სამწუხაროდ, არც „ტყის კოდექსის შემუშავებისას“ და როგორც ჩანს, არც ამ ცვლილების მომზადებისას, არ მომხდარა კომუნიკაცია არცერთ ბოტანიკოსთან, ეკოლოგთან და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ექსპერტთან და მხოლოდ საბჭოთა დროის მეტყევეების ცოდნა იქნა გამოყენებული. როგორც ადრეც აღნიშნა მწვანე ალტერნატივამ, სამინისტროს პასუხისმგებელი პირებმა უგულებელყვეს გერმანელი ექსპერტის Lutz Fähser-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციებიც, რომელიც სწორედ იმისთვის იყო დაქირავებული სამინისტროსთვის, რომ მოეხდინა საქართველოსა და ევროპის კანონმდებლობისა ჰარმონიზება. მის მიერ მომზადებულ ანგარიშში „ეროვნული პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოში ტყის მდგრადი მართვისთვის“ აღნიშნულია, რომ მდგრადი მეტყევეობისათვის დაუშვებელი ქმედებებს განეკუთვნება პირწმინდა ჭრა 0,3 ჰა-ზე მეტ ფართობზე. ამის ფონზე, კომიკური იყო სამინისტროს წარმომადგენლების მტკიცება, რომ იმიტომ არ ითვალისწინებენ გერმანელი ექსპერტის რეკომენდაციას, რომ საბჭოთა მეტყევეობა შეესაბამება გერმანულ მეტყევეობას.

კოლხეთის ეროვნულ პარკში პირწმინდა ჭრების დაშვება პრაქტიკულ შინაარსსაც მოკლებულია. ბოლო წლების განმავლობაში, სოფლების მასობრივი გაზიფიკაციის ფონზე, კოლხეთის ეროვნული პარკიდან შეშაზე მოთხოვნილება წელიწადში 1500 კუბურ მეტს არ აღემატება. ასეთი მცირე რაოდენობისთვის

პირწმინდა ჭრების დანიშვნა (რასაც ახლავს სატყეო გზების შეყვანა და ა.შ.) დაახლოებით იგივეა, მწყერზე ზარბაზნით ინადირო.
კოლხეთის ეროვნულ პარკში პირწმინდა ჭრების დაშვება საფრთხეს შეუქმნის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის სტატუსს. ამ ინფორმაციას აუცილებლად წარვუდგენთ UNESCO-ს შესაბამის ორგანოებს, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის მონიტორინგის ფარგლებში.

- **12: ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილში წარმოდგენილი ცვლილებები დაცულ ტყეებში, ეროვნულ პარკებსა და აღკვეთილებში განსაკუთრებული მიზნით ტყითსარგებლობის დაშვებასთან დაკავშირებით**

შემოთავაზებული ცვლილებებით, ისეთ დაცულ ტყეებში, როგორებიცაა ეროვნულ პარკები, აღკვეთილები, ჭალის ტყე, არიდული ტყე და ტყე, რომელშიც ეროვნულ დონეზე დაცული ტყის შემქმნელი სახეობების კონცენტრაცია მაღალია, დასაშვები გახდება ისეთი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა: წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ჰიდროკვანძები (ამაში იგულისხმება ჰესებიც), მილსადენები, გზები, ელექტროგადამცემი კომუნიკაციები, ელექტრონული ქსელები და არხები. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონს და პრაქტიკულად აუქმებს საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემას. დაცული ტერიტორიების სისტემა კი წარმოადგენს ბუნების დაცვის ქვაკუთხედს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ გამოთვლილი საქმიანობები ასევე დაიშვება დაცვით და საკურორტო და სარეკრეაციო ტყეში, რაც საერთოდ აზრს უკარგავს ტყის კოდექსით განსაზღვრულ ტყეების კატეგორიზაციის სისტემას და ფაქტიურად აუქმებს ტყის კოდექსს.

ეს შემოთავაზებული ცვლილება ყოვლად დაუშვებელია და დამტკიცების შემთხვევაში დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოყვება საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციების, მრავალმხრივი საერთაშირისო ხელშეკრულებების (კონვენციების) და დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

- **12: ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილში წარმოდგენილი ცვლილებები აღკვეთილებში სამონადირეო მეურნეობის მოწყობასთან დაკავშრებით:**

მიუღებელია დღეს არსებული პრაქტიკის გაგრძელება და გამყარება, რომლის თანახმადაც, აღკვეთილებში (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის - IUCN - მეოთხე კატეგორია) სამონადირეო მეურნეობების მოწყობა, ისევე როგორც ხე-ტყის დამზადება. დაცული ტერიტორიის ეს კატეგორია - აღკვეთილი შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას – ჰაბიტატების/სახეობების მართვის ტერიტორია (Habitat/Species Managment Area), რომლის არსებობის მიზანია სახეობებისა და ჰაბიტატების შენარჩუნება, დაცვა და აღდგენა და რისთვისაც საჭიროა აქტიური მენეჯმენტი (სპეციალური ღონისძიებების განხორციელება). განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ 2005 წლიდან დღემდე, ყორუღის, ივრის, ჭაჭუნის და გარდაბნის აღკვეთილებში გაცემულია სამონადირეო მეურნეობის მოწყობის 4 ლიცენზია. ამ ლიცენზიებით მოცულ ტერიტორიებზე არანაირი საკონსერვაციო საქმიანობა არ წარმოებს. შესაბამისად, ან უნდა გაუქმდეს ეს ლიცენზიები, ან აღკვეთილის სტატუსები. **<u>მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი პარლამენტის მხრიდან სპეციალური მოკვლევის საგანი უნდა გახდეს.</u>**

- **44-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი:**

„ამ მუხლით განსაზღვრული აუქციონის გამოცხადებამდე ტყის მართვის ორგანო იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას სპეციალური სარგებლობისათვის (პლანტაციური მეურნეობის მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სამონადირეო და სათევზო მეურნეობა, სარეკრეაციო მიზნებით სარგებლობა) ფართობების შერჩევისა და სარგებლობის პირობების განსაზღვრის მიზნით; აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე იმ დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რომელთა სიახლოვესაც განსაზღვრულია აუქციონის ჩატარება. ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოები

უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას“.

განმარტება: ამ მუხლით განსაზღვრული ტყითსარგებლობის ფორმები (პლანტაციური მეურნეობის მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სამონადირეო და სათევზო მეურნეობა, სარეკრეაციო მიზნებით სარგებლობა) შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთის მხრივ ტყის ეკოსისტემებზე/გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო მეორეს მხრივ - მიწათსარგებლობის შეზღუდვებთან. ეკონომისტების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ადგილი ექნება ე.წ. გარე ეფექტს (externality), რომელიც წარმოშობს კონფლიქტს, რომლის გადაჭრა ბაზრის წესებით არ ხდება. ამას ეწოდება „ბაზრის მარცხი“ (market failure). შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი არ არის ამ პრობლემის მოგვარების გზა. საზოგადოების ინტერესი (გარემოსდაცვითი ან მიწათსარგებლობის უფლების კუთხით) მდგომარეობს არა იმაში, თუ ვინ იყიდის და რა ფასად გარკვეულ სავარგულებს, არამედ იმაში, ამ სავარგულის აუქციონზე გატანა ხომ არ დააზარალებს მის გარემოსდაცვით ან სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ამრიგად, მთავარი გადაწყვეტილება - გავიდეს თუ არა ესა თუ ის ტყის ტერიტორია აუქციონზე მიიღება სრულიად გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

ამ მუხლით შემოთავაზებული რეგულირებამ მნიშვნელოვნად გააუარესა 1999 წლის ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებით დადგენილი წესი, ასევე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 132 დადგენილებით (11.08.2009 N 142 და 31.10.2014 N 608 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დადგენილ წესი, რომელთა თანახმადაც, ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებამდე, სალიცენზიოდ გასატანი ფართობების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონპროექტის არსებული რედაქცია გვაბრუნებს 2006-2009 წლებში, როდესაც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, გარემოსდაცვით, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე, გაიცა ათეულობით გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზია. აღნიშნულიდან გამომდინარე **დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხარისხის გაზრდის მიზნით:** პლანტაციური მეურნეობის მოწყობაზე, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობაზე, სამონადირეო და სათევზო მეურნეობის მოწყობაზე, სარეკრეაციო მიზნებით სარგებლობაზე გადაწყვეტილები მიღება, ისევე როგორც მათი მართვის გეგმების დამტკიცება უნდა მოხდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. ყველა შესაბამის მუხლში უნდა შევიდეს ასეთი ცვლილება.

- **33: ტყის კოდექსის 92-ე მუხლის მე-7 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილება:** მიგვაჩნია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ტყის საზღვრის კორექტირების პრაქტიკის გაგრძელება გამოიწვევს ტყის საფარის შემცირებას, ტყის ეკოსისტემების დეგრადაციას და ხელს შეუწყობს კორუფციული შინაარსის გარიგებებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სრულად მოხდება ჩვენი შენიშვნებისა და მოსაზრებების ასახვა კანონპროექტში და პარლამენტი არ მიიღებს ქვეყნისთვის და ბიომრავალფეროვნებისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ირაკლი მაჭარაშვილი
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი